დანართი 1

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

ა) 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და საკრებულოს აპარატში (შემდგომში ტექსტში-საჯარო დაწესებულება) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 6 განცხადება;

ბ) 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით არ შემოსულა არცერთი განცხადება;

გ)2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო დაწესებულებამ დააკმაყოფილა ყველა განცხადება, რომელიც ეხება საჯარო ინფორმაციის გაცემას;

დ)2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 10 დეკემბრამდე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (საჯარო დაწესებულება) სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

ე) საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირია- ეკატერინე ფაჩულია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტი - ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობის საკითხებში (შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი);

ვ) ინფორმაცია საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საქმის წარმოების მიზნებისთვის მონაცემების შეგროვებისას, ასევე თანამშრომელთა მონაცემების დამუშავება ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში საკრებულოს მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება, გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

ზ)საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებს საჯარო დაწესებულების მიმართ ადგილი არ ჰქონია.

პატივისცემით,

Poti City Municipality

Digitally signed by Poti City Municipality
Date: 2025.12.09 10:55:59 +04'00'